

მასტერ კლასი მათემატიკაში:

„შეფასების ფორმები და ხერხები მათემატიკის სწავლებისას“

მასტერკლასის მიზანია მათემატიკის სწავლების პროცესში მოსწავლეთა შეფასების ფორმების დეტალური განხილვა. ყურადღება დაეთმობა შეფასების, როგორც სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური ინსტრუმენტის ისეთ ფორმებს როგორებიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ასევე მოსწავლის პორტფოლიოს შემადგენელ კომპონენტებს, რომლებიც შეიძლება ეფექტიანად იქნას გამოყენებული მათემატიკის სწავლებისას. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დავალებების ტიპების (ღია, დახურული და ა.შ.) განხილვას, მათ ანალიზს და მათ გამოყენებას მათემატიკის სწავლებისას. ასევე ხარისხიანი ტესტის შედგენის პრინციპებს, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს მოსწავლეთა სუსტ და ძლიერ მხარეებს. მასტერკლასის მსვლელობისას, მონაწილეები გაეცნობიან შეფასების შედეგების ანალიზის პრონციპებს და იმ მათემატიკურ მოდელებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მონაცემთა ანალიზის შედეგად დასკვნების ჩამოყალიბება მოსწავლეთა მიღწევების და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მონაწილეები ასევე გაეცნობიან გავრცელებულ ელექტრონულ საშუალებებს, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია როგორც ხარისხიანი ტესტური დავალებების და ტესტების შედგენა ასევე შეფასების შედეგების ანალიზი.

დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმობა მონაწილეთა მიერ დავალებების და ტესტების, როგორც დავალებათა პაკეტის დამოუკიდებლად შედგენას და მათი შედეგების ანალიზის ხერხების გამოყენებას მოდელირებულ ვითარებებში.